თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის ოქმი N3

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

29 ნოემბერი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**
სხდომას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

1.ნინო ჩხიკვაძე 2. დავით გოგბერაშვილი 3. მზია ჭანტურიძე 4. ბიძინა ბუცხრიკიძე 5. ელისო მურადაშვილი 6. რუსუდან კოვზირიძე 7.ქეთევან შეყრილაძე 8. იზა მაგრაქველიძე 9. თამარ ახვლედიანი 10. ნინო ოქრუაძე 11. ნატალია ასათიანი 12. დიანა ფოცხველაშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: გრიგოლ გიორგაძე, ალექსანდრე ზანკალიანი, ბადრი ბუცხრიკიძე, შალვა ჭანკვეტაძე, გოჩა ვერულაშვილი, კახა ბუცხრიკიძე, თემური ქოჩიაშვილი, მაია თორთლაძე, ნინო მახათაძე;

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ავთანდილ ურიადმყოფელი და დათო ლილუაშვილი;

საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობა: 22 წევრი.
დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა: 13 წევრი.

<u>სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ბარათაშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ვადების განსაზღვრა.**

/მომხსენებელი: **გიორგი ბარათაშვილი**/

2. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის 2023 წლის ბიუჯეტში თანხის ასახვის შესახებ;**

/მომხსენებელი: **გიორგი ბარათაშვილი**/

3. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი: **ნინო ჩხიკვაძე**/

*<u>**დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით**</u>*

*<u>**გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.**</u>*

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა **გიორგი ბარათაშვილმა** გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გააცნო

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, ნატალია ასათიანმა;

რუსუდან კოვზირიძე: იმსჯელა იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მიხედვით და აღნიშნა, რომ საჭიროა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის, ასევე აპარატის საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდეს ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე. წელიწადში არანაკლებ ერთხელ აუცილებელია შეხვედრების ჩატარება, მათ შორის მოსახლეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა საჭიროებების დადგენის მიზნით;

ნატალია ასათიანი: აღნიშნა, რომ საჭიროა გადამზადება და გარკვეულ საკითხებში უფრო ღრმად ჩახედვა, რადგან უკეთ მოვახდინოთ ნაკისრი ვალდებულების შესასრულება. მოსახლეობის ინფორმირება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

გადაწყვიტეს: ახლო მომავალში დაგეგმილ იქნას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალისტების მოწვევა ტრენინგების ჩასატარებლად;

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა გიორგი ბარათაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს თანხის გამოყოფა გენდერულ ჭრილში, რათა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები განხორციელდეს.
-ცნობილია, რომ გენდერული ბიუჯეტირება საქართველოში პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. გენდერული ბიუჯეტი მოითხოვს გენდერული მეინსტრიმინგის გათავალისწინებას საბიუჯეტო პროცესში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ჭრილში. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის, ბიუჯეტში გამოყოფილი იქნას ცალკე ორგანიზაციული კოდი, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ურიადმყოფელმა; რუსუდან კოვზირიძემ;

გადაწყვიტეს: 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წერილობით მიმართონ მერიას, რომ ბიუჯეტში გამოყოფილი იქნას ცალკე ორგანიზაციული კოდი, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას.

3. **მოისმინეს:** მომხსენებელმა გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ჩხიკვაძემ საბჭოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი,
სტრატეგია განსაზღვრავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.
ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისად, თვითმმართველობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებისა და ინტერესების თანასწორი გათვალისწინებით.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე, განათლების, კულტურის და სოციალური მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ;

გადაწყვიტეს: განსახილველად დაეწეროს გენდერის საბჭოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ'' იურიდიულ საკითხთა კომისიას, რათა შემდგომში რეაგირებისათვის განხილულ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი მ/შ

მზია ჭანტურიძე